შპს „ევროპული სკოლა“ აცხადებს ვაკანსიას საერთაშორისო ბაკალავრიატის IB პროგრამის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ასისტენტის პოზიციაზე

თანამდებობა: IB PYP მასწავლებლის ასისტენტი (საერთაშორის პროგრამის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ასისტენტი)

სამუშაო საათები: 08:45 – 17:00
სამუშაო დღეები: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით
სამუშაო ადგილი: ქ. თბილისი

თანამდებობის მიზანი: PYP კლასის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენა; კომპეტენციის ფარგლებში მოსწავლეების უსაფრთხოებაზე ზრუნვა.

ფუნქცია-მოვალეობები:

- გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლისთვის ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენა: საჭირო მასალების კოპირება და მიწოდება მასწავლებლისთვის, ისე რომ არ შეფერხდეს გაკვეთილის მიმდინარეობა;
- საჭიროების შემთხვევაში საგაკვეთილო პროცესში ჯგუფური სამუშაოების დროს მოსწავლეებისთვის დახმარების აღმოჩენა;
- მოსწავლეების საკლასო ოთახებში ორგანიზებულად და უსაფრთხოდ გადაადგილების უზრუნველყოფა;
- მოსწავლეების სასადილოში ჩაყვანის ორგანიზება და მეთვალყურეობა;
- საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებისთვის სამოსის გამოცვლასა და შენახვაში დახმარების აღმოჩენა;
- ექსკურსიებისა და სხვა კლასგარეშე აქტივობების დროს მოსწავლეების მეთვალყურეობა და მათ უსაფრთხოებაზე ზრუნვა;
- მოსწავლეების საბუთების მოწესრიგება-კონტროლი;
- საჭიროების შემთხვევაში მშობლებთან ურთიერთობა და მათთვის ინფორმაციის მიწოდება მოსწავლეთა აკადემიური მდგომარეობის შესახებ;
- სემესტრის ბოლოს კოორდინატორის ინფორმირება გაწეული საქმიანობის შესახებ;
- კომპეტენციის ფარგლებში მოსწავლეების უსაფრთხოებაზე ზრუნვა;
- კომპეტენციის ფარგლებში უშუალო უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

განათლება

- სასურველია იყოს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი ან ფლობდეს დიპლომს.
- სასურველია იყოს ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი ან ფლობდეს დიპლომს.

ცოდნა, უნარები, და სხვა შესაძლებლობები:

- ინგლისური ენის კარგად ცოდნა.

კომპიუტერული პროგრამები:

- MS Office, Gmail, Google Drive

პიროვნული მახასიათებლები:

- კომუნიკაბელურობა;
- პუნქტუალობა;
- კეთილგანწყობა;
- დაკვირვებულობა;
- ყურადღებიანობა;
- აკურატულობა.

დაინტერესების შემთხვევაში, გამოაგზავნეთ თქვენი რეზიუმე (CV) ელექტრონული ფოსტის მისამართზე: marina.chelidze@europeanschool.ge 2021 წლის 30 ივნისამდე. გთხოვთ, ელექტრონული წერილის თემის ველში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი რეზიუმე არ განიხილება.

აღნიშნულ ვაკანსიაზე მონაცემების გაგზავნით ადასტურებთ, რომ თანახმა ხართ, კომპანიამ "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის" ფარგლებში შეაგროვოს, დაამუშავოს და შეინახოს წარდგენილი ინფორმაცია (cv) თქვენი დასაქმებისთვის საჭირო პროცედურების წარმართვის მიზნით. პერსონალური მონაცემები გამოყენებული იქნება მხოლოდ აღნიშნული მიზნისთვის და თქვენი თანხმობის გარეშე არ გადაეცემა მესამე პირს.